

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**  
**ეთიკის კომისია**  
**გადაწყვეტილება**  
**დისციპლინური დევნის აღებრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** თ. ჩ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 22.01.2020

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 010/20

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ თ. ნ.-ს მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ თ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

**1. საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 22 იანვარს საჩივრით მომართა თ. ჩ-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ნ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თ. ნ. იყო მისი ძმის, ლ. ჩ.-ს ადვოკატი პირველი ინსტანციის სასამართლოში. მისი ძმა იყო ბრალდებული და ედავებოდნენ პირის განზრახ მკვლელობას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მისი ძმის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

1.3 საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდამდე, ადვოკატი უხსნიდა, რომ საქმეზე მისი მხრიდან ჩასატარებელი იყო საპროცესო მოქმედებები და ექსპერტიზები. თანხის გადახდის შემდეგ, ადვოკატი აღარ აქტიურობდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს უნდა განეხორციელებინა შემდეგი მოქმედებები:

- მოემზადებინა განცხადება პროკურატურის სახელზე მისი ძმის დაკავების დროს მის მიმართ წამების და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ფაქტებზე;
- წერილი უნდა მიეწერა საპატრულო პოლიციისათვის იმის შესახებ, შემთხვევის დღეს არსებობდა თუ არა დადიანის გამზირზე ავტომანქანების მოძრაობის ვიდეო ჩანაწერი? დადებითი პასუხის შემთხვევაში სასამართლოს განჩინებით ჩანაწერი უნდა მოეპოვებინა და საქმისათვის დაერთო;
- უნდა ამოელო გარდაცვლილის სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაცია და გარდაცვლილის ტელეფონისათვის ჩაეტარებინა ექსპერტიზა;
- უნდა ჩაეტარებინა საგამომიებო ექსპერტიზა მოწმის მიერ მისი ძმის ამოცნობასთან დაკავშირებით; გამოეთხოვა ცნობა იმის შესახებ ვინ დარეკა ამ ფაქტთან დაკავშირებით 112-ში და როდის?;
- დამატებით უნდა დაეთვალიერებინა შემთხვევის ადგილი; უნდა დაენიშნა ალტერნატიული ფსიქიატრიული ექსპერტიზა;
- მისთვის გადაცემული ვიდეო მასალისათვის უნდა ჩაეტარებინა ექსპერტიზა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ შემთხვევის ადგილზე მისი ძმის და გარდაცვლილის გარდა იყო მესამე პირიც, მოშორებით დაქოქილ მდგომარეობაში მყოფი მანქანა იდგა მასში იყვნენ ადამიანები.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ჩამოთვლილი მოქმედებებიდან ადვოკატს არც ერთი განუხორციელებია. მან საქმეს საერთოდ არ დაურთო ბრალდების მხარის მიერ მათთვის გადაცემული ვიდეო მასალა, სადაც ჩანს, რომ შემთხვევის მომენტში ბრალდებულსა და გარდაცვლილის გარდა იქ მესამე პირიც იმყოფებოდა. ადვოკატმა მესამე პირის საკითხი საერთოდ არ გამოიკვლია, რაც მათ საქმეზე იყო ე.წ. ოქროს მტკიცებულება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ მომზადებულ დასკვნით სიტყვაში გაუგებარია აუცილებელი მოგერიების შემთხვევას ჰქონდა ადგილი თუ მის ძმას დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა საქმეს არ დაურთო სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მისი ძმა არის ფსიქიკურად დაავადებული. ამის შედეგად, მისი ძმა სპეციალური საჭიროების მქონე ძმა იმყოფება ჩვეულებრივ საკანში, რაც საფრთხის შემცველია როგორც თავისი, ისე სხვისი ჯანმრთელობისათვის.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს ხელზე მისცა 2500 ლარი, სასამართლოში საქმის განხილვის დროს ჩაურიცხა 1000 ლარი, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს

მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ ხელზე გადასცა 1500 ლარი. ადვოკატს ჯამში გადაუხადა 5000 ლარი.

- 1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის არაკვალიფიციური, გულგრილი ქმედების შედეგად მისი ძმის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რის გამოც მის მიმართ უნდა დადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. საჩივრის ავტორი ასევე ითხოვს ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხის უკან დაბრუნებას.
- 1.9 2020 წლის 28 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ შემთხვევის დროს მისი ძმა იყო ნაცემი, ანუ იქ მისი ძმისა და გარდაცვლილის გარდა იყვნენ სხვა პირებიც, რასაც ადასტურებდა კამერების ჩანაწერები, რაც ადვოკატმა სასამართლოში საქმეს არ დაურთო.

## 2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა თ. ნ.-მ 2020 წლის 31 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეში ჩაერთო ბრალდებულთან გასაუბრების შედეგად, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში. კლიენტს, ლ. ჩ.-ს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია მის მიმართ პოლიციელების მხრიდან წამებასა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით. ეს ფაქტი დასტურდება იმით, რომ აღკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვის დროს მოსამართლის კითხვაზე ლ. ჩ. უარყოფს მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს პოლიციელთა მხრიდან.
- 2.2 ადვოკატის განმარტებით, ის დამოუკიდებელია თავისი საქმიანობისას დაცვის სტრატეგიის განსაზღვრაში, სტრატეგიას განსაზღვრავს ბრალდებულთან და მის ოჯახთან შეთანხმების შედეგად. შესაბამისად, რადგან საქმის მასალებით არ დგინდებოდა მესამე პირის არსებობა, მიიჩნია, რომ უსაფუძვლო და მტკიცებულებებით გაუმყარებელ ფაქტზე მითითება კიდევ უფრო დაამძიმებდა ბრალდებულის მდგომარეობას. ეს პოზიცია თავიდანვე იყო შეთანხმებული როგორც ბრალდებულთან, ასევე მის ოჯახის წევრებთან.
- 2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ გარდაცვლილის ტელეფონის ამოღება დამატებით არაფერს დაადასტურებდა, რადგან ბრალდებულმა მათთან ახსნა-განმარტების დროს უარყო გარდაცვლილის მიერ ტელეფონის მეშვეობით ვინმესთან საუბარი, ამიტომ ამ ფაქტზე დამატებითი მტკიცებულების წარდგენა არ იყო საჭირო.
- 2.4 თ. ჩ. სასამართლო პროცესზე თვითმხილველი მოწმის დაკითხვის შემდეგ მივიდა მასთან სახლში და გაესაუბრა. მოწმემ კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ იმ ღამეს დაინახა მისი ძმა და განუმარტა, რომ არანაირი ინტერესი არ ჰქონდა უდანაშაულო პირისთვის დაედო ხელი.
- 2.5 112-ში დარეკვასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ შუამდგომლობის სახით მიმართა 112-ის სამსახურს და ეს საქმეში დევს მტკიცებულების სახით. ასევე, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა რომ 112-ში დარეკა თვითმხილველმა მოწმემ.

- 2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ შემთხვევის ადგილი არაერთხელ დაათვალიერა და დაასურათა.
- 2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ჩ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა გამოძიების წარმოების პროცესში, სადაც დადგინდა, რომ მას ჰქონდა შეზღუდული შერაცხადობა, რაც გათვალისწინებული იყო განაჩენის გამოტანის დროს. რაც შეეხება ალტერნატიული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას, განაჩენის დადგენის შემდეგ, ვიდრე საქმის წარმოება დაიწყებოდა სააპელაციო წესით, დაცვის მხარეს სურვილი ჰქონდა ჩაეტარებინა ექსპერტიზა, რაზეც თ. ჩ.-მ თავიდან განაცხადა თანხმობა და საკონსულტაციოდ მივიდნენ ექსპერტთან, შემდეგ მისი რჩევით ფსიქოლოგთან. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ხელშეკრულება უნდა დადებულიყო ექსპერტებთან, რაზეც მხარემ, თ. ჩ.-მ განაცხადა უარი. ისინი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კონსულტაციაზე იყვნენ არაერთ ექსპერტთან (მ. ნ.-სთან, ა. გ.-სთან, ასევე სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტთან).
- 2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ ვიდეოს გამოკვლევა საჭიროდ არ მიიჩნია, რადგან ამით ამყარებდა ბრალდების პოზიციას და დაამძიმებდა ბრალდებულის მდგომარეობას.
- 2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ დანიშნეს და საქმეში მტკიცებულებად არ წარადგინეს გარდაცვლილის ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რადგან იქ განმარტებული იყო, რომ გარდაცვლილი მოკლული იყო განსაკუთრებული სისასტიკით. ასევე სასამართლოს არ წარუდგინეს მოწმის სახით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმები, რადგან მათ არ ჰქონდათ ბრალდებულის სასარგებლო პოზიცია.
- 2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ თავდაპირველად კლიენტი ეუბნებოდათ, რომ ჰქონდა ამნეზია და ვერ იხსენებდა რა მოხდა შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად მათი განმარტებისა, რომ ნებისმიერი ინფორმაცია იქნებოდა ხელჩასაჭიდი. შემდეგ, სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის დასკვნით ეტაპზე მსჯავრდებულმა სთხოვა შეხვედრა, სადაც განუმარტა, რომ ის და მისი ძმა შეჯერდნენ იმ პოზიციაზე, რომ გარდაცვლილი მოკლა თვითმხილველმა მოწმემ. ადვოკატმა განუმარტა, რომ ამ ვერსიას ვერ გაყვებოდა და მათ შორის შეწყდა საადვოკატო ურთიერთობა.
- 2.11 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს გაუწია კვალიფიციური მომსახურება და მათი სტრატეგია იყო შეთანხმებული. კლიენტისაგან მიიღო საზღაური პირველი ინსტანციის სასამართლოში მომსახურებისათვის და რეალურად, მომსახურებას უწევდა სააპელაციო სასამართლოშიც.
- 2.12 2020 წლის 17 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ შემთხვევის ადგილას არაერთხელ იყო ი. შ.-სთან და თ. ჩ.-სთან ერთად, საიდანაც მიიღეს ყველა ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელი იყო.

### **3. ადვოკატის მოწმე ი. შ.**

- 3.1 საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 29 ივლისის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ განმარტა, რომ პროფესიით საერთო სპეციალიზაციის ადვოკატია და ამჟამად მუშაობს საჯარო სამსახურში. მოწმემ განმარტა, რომ მის ოჯახს თ. ჩ.-ს ოჯახთან აქვს ნათესაური კავშირი,

კერძოდ მისი და არის თ. ჩ.-ს ძმის - ლ. ჩ.-ს ნათლია. როდესაც ლ. ჩ. დააკავეს, მას დაუკავშირდა თ. ჩ., რადგან თავად სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო მისთვის მომსახურების გაწევა, ურჩია მიემართა ადვოკატ გ. გ.-ს და ადვოკატ თ. ნ.-სთვის - რადგან იცოდა მათი პროფესიონალიზმი, ენდობოდა, თავადაც შეძლებისდაგვარად თვალს მიადევნებდა საქმის მიმდინარეობას.

- 3.2 მოწმე განმარტავს, რომ მან ადვოკატ გ. გ.-სთან ერთად დაათვალიერა შემთხვევის ადგილი. მისი ტელეფონით სურათები გადაუღეს ყველა იმ დეტალს, რაც შეიძლებოდა ადვოკატს საქმის მიმდინარეობისას გამოეყენებინა. ლ. ჩ.-ს ბრალდებულად ცნობის დადგენილების მიხედვით შეისწავლეს შემთხვევის ადგილი და ყველა საჭირო დეტალი. მან პირადად დაწერა შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდნენ ფოტომასალის საქმისთვის დართვას და ამ ტერიტორიაზე არსებული კამერების ჩანაწერების ამოღებას საქმეზე დასართავად. ისინი ეძებდნენ რაიმე ხელჩასაჭილ გარემოებას. სასამართლომ მათი შუამდგომლობა კამერების ჩანაწერების ამოღებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.
- 3.3 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი თ. ნ. მას საქმის მიმდინარეობის თაობაზე აწვდიდა ინფორმაციას და როგორც ადვოკატს, ეკითხებოდა აზრს. მათ ერთობლივად შეისწავლეს ყველა მტკიცებულება.
- 3.4 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლ. ჩ. ვერ იხსენებდა მომხდარს, ადვოკატი ფიქრობდა რომ კლიენტს მასთან გახსნა და საუბარი უჭირდა, ამიტომ მას სთხოვა ლ. ჩ.-ს მონახულება, რომ იქნებ მასთან საუბრის დროს გაეხსენებინა მას შემთხვევის დეტალები და ეს დახმარებოდათ. მოწმე განმარტავს, რომ ლ. ჩ.-სთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესული იყო ორჯერ. პირველი შეხვედრისას ლ. ჩ.-მ დატოვა დათრგუნულის შთაბეჭდილება. მოწმემ აუხსნა, რომ ადვოკატი აიყვანა მისმა ძმამ და მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატების სანდოობის შესახებ. ლ. ჩ. არ გაიხსნა და ამბობდა, რომ არაფერი ახსოვდა იმ მომენტიდან, როდესაც მას დაარტყეს, არ ახსოვდა ვინ დაარტყა და როდესაც აზრზე მოვიდა, იყო საავადმყოფოში, მიუხედავად განმარტებისა, რომ დაცვის მხარე მისი ჩვენების მიხედვით შექმნიდა მათთვის მისაღებ სურათს.
- 3.5 მოწმე განმარტავს, რომ როდესაც მეორეჯერ შეხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ლ. ჩ.-ს, ის იყო უფრო მეტად დამშვიდებული. თუმცა ისევ ამბობდა, რომ არაფერი ახსოვდა.
- 3.6 მოწმე განმარტავს, რომ პირადად დაესწრო ლ. ჩ.-ს 2 სასამართლო სხდომას, სადაც თ. ჩ. ადვოკატების მიმართ ყოველთვის გამოხატავდა კმაყოფილებას. ასევე, ის ხშირად აძლევდა თ. ჩ.-ს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა იცოდა თავისი საქმე, ჰქონდა სტრატეგია, რომელსაც მიყვებოდა, უხსნიდა, რომ ადვოკატი არ სვამს კითხვას მაშინ, როდესაც სვამს პროკურორი და რომ ყველა მოქმედებას თავისი ეტაპი აქვს სამართლებრივად. ასევე, თ. ჩ.-ს პრეტენზიაზე - რომ ადვოკატი არ სვამდა იმ კითხვებს, რომელიც მას უნდოდა, ი. შ. უხსნიდა, რომ ადვოკატი, როგორც მცოდნე, თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე თავად განსაზღვრავდა კითხვის შინაარსს და

ფორმულირებას. ადვოკატი თ. ჩ.-სთან ათანხმებდა ყველა პოზიციას და აწვდიდა ინფორმაციას ისე დეტალურად, რამდენიც მისი აზრით, საჭირო არ იყო.

- 3.7 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ გ. გ.-სთან ერთად პირადად მიიღო მონაწილეობა ექსპერტისათვის წარსადგენი კითხვების შედგენაში. ადვოკატმა თ. ჩ.-სთან ერთად რამდენიმე ექსპერტთან გაიარა კონსულტაცია. ექსპერტ მ. ნ.-სთან ექსპერტიზის ჩატარებაზე თავად თ. ჩ.-მ თქვა უარი, რადგან საქმის შესწავლის შედეგად ექსპერტი ვერ ამლევდათ მათთვის მისაღებ დასკვნას. ადვოკატის მიერ ექსპერტიზის არ ჩატარება იყო სტრატეგიის ნაწილი.
- 3.8 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატები საქმის წარმოებას გაყვნენ აპელაციის ეტაპამდე.

## II სამოტივაციო ნაწილი

### 4. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

- 4.1 ადვოკატი თ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლი.
- 4.2 თ. ჩ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 22 იანვარს.
- 4.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

### 4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ თ. ნ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

### 5. სამართლებრივი შეფასება:

- 5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. ნ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი ძმის საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად, რაც გამოიხატა კონკრეტული საადვოკატო მოქმედებების განუხორციელებლობაში; ადვოკატი არ უბრუნებს საადვოკატო მომსახურების გამოუმუშავებელ ჰონორარს.
- 5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ნ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:
- 5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

- 5.2.2 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.15).
- 5.3 კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N122/18).
- 5.4 ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით. (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).
- 5.5 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რომელიც კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევას და ამ მტკიცებულებათა კლიენტის კანონიერ ინტერესებთან შემხებლობას უკავშირდება (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).
- 5.6 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და

შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.7 თ. ჩ.-მ ადვოკატ გ. გ.-ს და მის მეუღლეს, ადვოკატ თ. ნ.-ს მიმართა მისი ძმის - ლ. ჩ.-სთვის საადვოკატო მომსახურების გასაწევად. ადვოკატები მხარეთა შორის 2018 წლის 15 ივნისს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ლ. ჩ.-ს ინტერესებს წარმოადგენდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში და აპელაციის ეტაპის დასაწყისში. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატებმა აიღეს ლ. ჩ.-სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის ვალდებულება საგამომიებო ორგანოებსა და პირველი ინსტანციის სასამართლოში, რისთვისაც ჰონორარის სახით მიიღეს 5000 ლარი.

5.8 საჩივრის ავტორის, საქმეში ჩართული ორივე ადვოკატის, წარმოდგენილი საქმის მასალებით და მოწმის, ი. შ.-ს პოზიციით, ადვოკატთა მიერ განხორციელებულია საადვოკატო მოქმედებები. თ. ჩ.-ს პრეტენზია აქვს ადვოკატთა მიერ კონკრეტული მოქმედებების განუხორციელებლობის გამო, რამაც მისი პოზიციით, დააზარალა მისი ძმის - ლ. ჩ.-ს სამართლებრივი მდგომარეობა. კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტი ადვოკატს ირჩევს კონკრეტული ადვოკატის კვალიფიკაციიდან გამომდინარე. ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, თავის სამოქმედო სტრატეგიას ათანხმებს მხოლოდ კლიენტთან, შესაბამისად, ეთიკის კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ შეუძლია შეაფასოს ადვოკატ თ. ნ.-ს მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელება/განუხორციელებლობა, რადგან ეს წარმოადგენს ადვოკატის სტრატეგიის ნაწილს და კომისია ვერ აფასებს ადვოკატის სტრატეგიას.

5.9 მხარეები სადავოდ არ ხდიან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით 5000 ლარის გადაცემა-მიღების ფაქტს. საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატებმა კლიენტს მომსახურება გაუწიეს საგამომიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში სრულად, ხოლო აპელაციის ეტაპზე ნაწილობრივ, რადგან ლ. ჩ.-ს მომსახურება ვედარ განაგრძეს პოზიციათა შეუთანხმებლობის გამო. ადვოკატებს საადვოკატო მომსახურების ჰონორარი მიღებული აქვთ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მომსახურებისათვის და აპელაციის ეტაპზე კლიენტს ემსახურებოდნენ უსასყიდლოდ. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატებს მიღებული არ აქვთ გამოუმუშავებელი ჰონორარი.



5.10 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. ნ.-ს მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის - ლ. ჩ.-სთვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა) და ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

### III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N020/20 ადვოკატ თ. ნ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი:

/მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი:

/ცისმარი ონიანი/